

დამტკიცებულია ცვლილებებით სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ
(აკადემიური საბჭოს დადგენილება № 05/01- 351, 17.07.2017)

1. სამაგისტრო პროგრამის სახელწოდება - ევროპული ენები და ლიტერატურა /**The European Languages and Literature**/
მოდულები - ინგლისური ფილოლოგია • სლავური ფილოლოგია • გერმანული ფილოლოგია • ფრანგული ფილოლოგია
Modules - English Philology • Slavic Philology • German Philology • French Philology
2. მისანიჭებელი კვალიფიკაცია - ფილოლოგიის მაგისტრი /Master of Philology/
3. პროგრამის მოცულობა კრედიტებით - 120 კრედიტი (ECTS), ხანგრძლივობა - 4 სემესტრი, სემესტრში - 30 კრედიტი
4. სწავლების ენა - ქართული
5. სამაგისტრო პროგრამის /მოდულის/ ხელმძღვანელები
ინგლისური ფილოლოგია /პროფესორი. ე.კილანავა/ • სლავური ფილოლოგია /პროფესორი ო.პეტრიაშვილი/
გერმანული ფილოლოგია /პროფესორი ლ.ქობალია/ • ფრანგული ფილოლოგია /ასოც. პროფ. ქ.გალობერი/

6. სამაგისტრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

- საერთო სამაგისტრო გამოცდის ჩაბარება;
- ჰუმანიტარულ, სოციალურ მეცნიერებათა და მიმართულებათაშორისი დარგების ან სპეციალობების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი;
- შიდა გამოცდა სპეციალობაში (ინგლისური ენა, რუსული, გერმანული, ფრანგული-მოდულის მიხედვით)
(საკითხები იხ. http://sou.edu.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=371&info_id=856)
- უცხო ქვეყნის მოქალაქეები მიიღებიან საერთო სამაგისტრო გამოცდების გარეშე, კანონმდებლობით დადგენილი წესით;

7. პროგრამის მიზანი

სამაგისტრო პროგრამა მიზნად ისახავს მაღალკვალიფიციური კადრების მომზადებას სლავური, გერმანული, ფრანგული და ინგლისური ფილოლოგიის ფარგლებში. საქართველოში ახალი ეკონომიკური ურთიერთობების ჩამოყალიბებამ, მრავალი საელჩოს, უცხოური ფირმის, უცხოური კომპანიის, ინვესტორის არსებობამ წინ წამოსწია ენის არა მარტო თეორიული, არამედ პრაგმატული ასპექტიც, და განაპირობა იმ სპეციალისტთა მომზადების აუცილებლობა, რომლებიც თავისუფლად ფლობენ ევროპულ ენებს, თავისუფლად შეუძლიათ გამოიყენონ საქმიანი ტერმინოლოგია პროფესიულ საქმიანობაში. წინამდებარე სამაგისტრო პროგრამა წარმოადგენს თეორიისა და პრაქტიკის სინთეზს: პროგრამა მიმართულია შესძინოს მაგისტრანტებს ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული ან სხვა სლავური ენისა და ლიტერატურის კუთხით თეორიული და პრაქტიკული ცოდნა შემდგომი ლინგვისტური და ლიტერატურათმცოდნეობრივი კვლევებისა და პროფესიული მიზნებისათვის.

8. სწავლის შედეგები

- **ცოდნა და გაცნობიერება** - პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულმა მიიღო უახლეს თეორიულ მასალაზე და კვლევაზე დაფუძნებულ ღრმა და სისტემური ცოდნა ინგლისური, გერმანული, ფრანგული, ერთ-ერთი სლავური ენის (რუსული, უკრაინული ან სლოვაკური) და ლიტერატურის საკითხებში, წერითი და ზეპირი მეტყველების უნარ-ჩვევები, რის შედეგად შეუძლია დასკვნების საჯარო წარდგენა, მათი მკაფიო დასაბუთება შესაბამისი ცოდნითა და ლოგიკით; დაეუფლა ფილოლოგიურ სპეციფიკურ კვლევის მეთოდებს; გააცნობიერა დარგისათვის დამახასიათებელი ეთიკური პრობლემები და შეუძლია დილემების გადაჭრა.

- ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი** - მიღებული დარგობრივი ღრმა და სისტემური ცოდნის საფუძველზე კურსდამთავრებულს შეუძლია გამოიყენოს ეს ცოდნა ევროპული ენების (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, სლავური (რუსული) კვლევისათვის, მათი შედარებითი და ტიპოლოგიური ანალიზის ჩასატარებლად, სახელმძღვანელოებისა და ლექსიკონების შედგენისათვის; შეუძლია უნარების ადაპტირება ან ახალი უნარების გამოყენება სხვადასხვა სიტუაციებში, ორიგინალური გზების ძიება, დამოუკიდებლად ახორციელებს კვლევას და ამისათვის იყენებს უახლეს მეთოდებსა და მიდგომებს. გარდა ამისა, მაგისტრი სრულყოფილად დაეუფლა ტექსტის მეცნიერული დამუშავების ტექნიკას: თანდათანობით გადასვლას კონსპექტი-გეგმიდან ანოტირების საშუალებით რეფერირებაზე, შეიძინა ტექსტიდან ინფორმაციის გამოყოფის უნარი, ტრანსფორმაციის წარმოების უნარი, გრამატიკული ანალიზის ფორმირების უნარი, ასევე ანოტირებისა და რეფერირებისათვის დამახასიათებელი სამეტყველო კლიშეების ენა, როგორც ურთიერთობის, როგორც ინფორმაციის შენახვისა და გადაცემის საშუალება.
- დასკვნის უნარი** - კრიტიკული მიდგომის გათვალისწინებით შეუძლია რთული, არასრული ან წინააღმდეგობრივი მონაცემების ანალიზი, მოსაზრებების ჩამოყალიბება და ანალიზის შედეგების ეფექტური მიწოდება. შეუძლია ინფორმაციის ინოვაციური სინთეზი ენისა და ლიტერატურის უახლეს მონაცემებზე დაყრდნობით. კურსდამთავრებულმა შეიძინა სხვადასხვა ჟანრისა და პერიოდების რთული ტექსტების ანალიზის უნარი; ეფექტური არგუმენტაციის უნარები, როგორც ზეპირი, ასევე წერიტი ფორმით; დარგის უახლეს მონაცემებზე დაყრდნობით ინფორმაციის წყაროების შეფასების უნარი. პრობლემების შეცნობისა და მათი გადაჭრის სტრატეგიების განვითარების უნარი; კრიტიკული და ობიექტური გააზრების უნარი; ინფორმაციის სინთეზის, ანალიზისა და კრიტიკული შეფასების უნარი; დამოუკიდებელი გააზრებისა და განსჯის უნარი.
- კომუნიკაციის უნარი** - სწავლის პროცესში მიღებულმა ცოდნამ სამაგისტრო პროგრამაში “ევროპული ენები და ლიტერატურა” კურსდამთავრებულს გამოუმუშავა დამოუკიდებელი, დამაჯერებელი და კომპეტენტური კომუნიკაციის უნარი აკადემიურ და პროფესიულ საზოგადოებაში, კურსდამთავრებული ფლობს უცხო ენას (ინგლისურს, გერმანულს, ფრანგულს, ერთ-ერთ სლავურს) მოდულის მიხედვით პროფესიულ დონეზე და თავისუფლად იყენებს თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს და შეუძლია მათი შემოქმედებითი და კრიტიკული გამოყენება ფილოლოგიის დარგისათვის სპეციფიკურ კონტექსტში; ასევე შეუძლია სამაგისტრო ნაშრომისათვის აუცილებელი კვლევის უახლოესი მასალებისა და ბიბლიოგრაფიის მოძიება. პროგრამის მოდულების ძირითადი ევროპული ენების გავლის შედეგად კურსდამთავრებულმა შეიძინა ლინგვისტური უნარები, რაც გამოიხატება ზეპირ და წერილობით კომუნიკაციაში როგორც მშობლიურ, ისე ერთ-ერთ სლავურ, ფრანგულ, ინგლისურ და გერმანულ ენებზე.

- **სწავლის უნარი** - მაგისტრანტმა შეიძინა სისტემური უნარები, რაც მდგომარეობს სწავლის, ახალ სიტუაციაში ადაპტირების, ავტონომიურად მუშაობის და პროექტის შემუშავებისა და მართვაში, ასევე ახალი ინფორმაციის მიღებისა და შეთვისების, ახალი სამეცნიერო ნაშრომებისა და მოსაზრებების შეთვისებაში; ევროპული ენებისა (ინგლისური, ფრანგული, გერმანული, ერთ-ერთი სლავური) და შესაბამისი ლიტერატურის მიმართულებით სამეცნიერო ბრუნვაში შემოსული სიახლეების ახალი მეთოდების შესწავლისა და ათვისების კუთხით, მაგისტრანტს შეუძლია სწავლის დამოუკიდებლად წარმართვა, სწავლის პროცესის თავისებურებების გაცნობიერება და გააჩნია სტრატეგიულად დაგეგმვის მაღალი დონე.
- **ღირებულებები** - სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებული ხელმძღვანელობს ტოლერანტობისა და ეთნოკულტურული ეთიკის პრინციპებით, ამჟღავნებს საურთიერთობო მხარის კულტურის პატივისცემასა და ამასთანავე საკუთარი ღირებულებების თვითმყოფადობის შეგრძნებას; ახდენს საკუთარი საქციელის მოდიფიცირებას; შეუძლია კომუნიკაციური ხარვეზების მიზეზების დადგენა და ამ მიზეზების აღმოფხვრას; სწორად ირჩევს საკომუნიკაციო სტრატეგიას და ევროპული კულტურების წარმომადგენლებთან ურთიერთობების დროს იყენებს ეთიკის ნორმებს. შეუძლია ღირებულებებისადმი თავისი და სხვების დამოკიდებულების შეფასება და ახალი ღირებულებების დამკვიდრებაში წვლილის შეტანა.

ვინაიდან პროგრამა აგებულია მოდულარულ სისტემაზე, სავალდებულოა, ასევე, ცალკეული მოდულების მიხედვით მიღწეული სწავლის შედეგებისა და დარგობრივი და ზოგადი კომპეტენციების აღწერა.

I. სწავლის შედეგები - მოდული "სლავური ფილოლოგია"

ცოდნა და გაცნობიერება - ფილოლოგიის მაგისტრს აქვს სლავური ფილოლოგიის საკითხების ღრმა და სისტემური ცოდნა, რის საფუძველზეც შეიმუშავებს ორიგინალურ იდეებს და აცნობიერებს ცალკეული პრობლემის გადაჭრის გზებს:

- მაგისტრმა საფუძვლიანად შეისწავლა სლავური ენების ისტორიული განვითარებისა და თანამედროვე მდგომარეობის საკითხები, სლავური ენების ისტორიული ფონეტიკის, ფონოლოგიის, აქცენტოლოგიის, მორფოლოგიისა და სინტაქსის ელემენტების თავისებურებები;
- აქვს თანამედროვე უკრაინული ან სლოვაკური ენის შესავალი კურსის კომპლექსური ცოდნა (ფონეტიკა, ფონოლოგია, გრაფიკა, ორთოგრაფია, ორთოეპია, მორფოლოგია); ფლობს საჭირო რაოდენობის ლექსიკურ-გრამატიკულ საჭირო და საკმარის მასალას კომუნიკაციის,

ურთიერთობის დამყარებისათვის ენის მატარებლებთან, მიმოწერისათვის, შეუძლია ორიგინალური ტექსტების წაკითხვა ლექსიკონების დახმარებით.

- სტუდენტი ჩაწვდა ენობრივი განვითარების დინამიკას და შეექმნა წარმოდგენა ენაზე, როგორც მუდმივად ცვალებად ობიექტზე, იმავდროულად სტაბილურ და მდგრად ობიექტზე.
- აითვისა ენის განვითარებისა და მისი ნორმების კანონზომიერებები
- გამოუმუშავდა თანამედროვე რუსულ ენაში ტენდენციებისადმი კვალიფიციური დამოკიდებულება და თანამედროვე მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში გავრცელებული ენობრივი შეცდომების და სისტემური ცვლილებების განსხვავების უნარები.
- გააცნობიერა მე-20 საუკუნის ბოლო ათწლეულის მხატვრული ლიტერატურის უახლესი ტენდენციები, ლიტერატურული პროცესები და თანამედროვე მდგომარეობა.
- ლიტერატურული გროტესკის დარგში შეისწავლა XX საუკუნის ლიტერატურული გროტესკის განვითარების ისტორია.
- შეისწავლა პოლონური, ჩეხური და სლოვაკური ლიტერატურა, გაეცნო გამოჩენილი პოლონელი, ჩეხი და სლოვაკელი მწერლებისა და პოეტების ცხოვრებასა და შემოქმედებას ეპოქის კონტექსტში; ასევე შეისწავლა ძირითადი მიმართულებები, სკოლები და ლიტერატურული დაჯგუფებები.
- შესწავლა თანამედროვე უკრაინული ლიტერატურა, იცის ცნობილი უკრაინელი მწერლების-ტიჩინას, რილსკის, სოსიურას, ბაჟანის ცხოვრება და შემოქმედება ახალ კონტექსტში.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი - სლავური ფილოლოგიის დარგში მაგისტრს შეუძლია ახალ, გაუთვალისწინებელ და მულტიდისციპლინურ გარემოში მოქმედება; კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტის ახალი, ორიგინალური გზების ძიება:

- მაგისტრი იყენებს სლავური ენების შედარებითი გრამატიკის შესწავლის მეთოდებს მათი ისტორიული ცვალებადობის კუთხით;
- შეუძლია ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია უკრაინულ ან სლოვაკურ ენაზე, შეუძლია მეტყველება 4 სავალდებულო ენობრივ კომპეტენციის გამოყენებით: წერა, კითხვა, აუდირება, საუბარი;
- შეუძლია გროტესკის ანალიზი თანამედროვე დონეზე, გროტესკის მხატვრულ-ესთეტიკური და სოციალური ფუნქციების გამოვლენა და დამახასიათებელი ნიშნების დაზუსტება და სისტემატიზირება;
- შეუძლია მხატვრული ტექსტების (ქართულ-რუსული, ქართულ-უკრაინული) შეპირისპირებითი და შედარებითი ანალიზი, მხატვრული თავისებურებების გამოვლენა, კრიტიკული გარჩევა და ინტერპრეტაცია.

დასკვნის უნარი - ფილოლოგიის მაგისტრს სლავური ფილოლოგიის კუთხით შეუძლია რთული და არასრული ინფორმაციის კრიტიკული ანალიზის საფუძველზე დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბება; უახლეს მონაცემებზე დაყრდნობით ინფორმაციის ინოვაციური სინთეზი; ფლობს სლავური კულტურულ-ენობრივი და ლიტერატურული ფაქტების გამოვლენის და ანალიზის უნარებს, მნიშვნელოვანი პროცესებისა და მოვლენებისადმი ინტერდისციპლინარული მიდგომის უნარს.

კომუნიკაციის უნარი - ფილოლოგიის მაგისტრს სლავური ფილოლოგიის კუთხით შეუძლია თავისი დასკვნების, არგუმენტაციისა და კვლევის მეთოდების კომუნიკაცია აკადემიურ საზოგადოებასთან ქართულ და ერთ-ერთ სლავურ (რუსული, უკრაინული, სლოვაკური) ენაზე, იყენებს უახლესი საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მიღწევებს ფილოლოგიური ინფორმაციის მოპოვების, მოძიების და დამუშავების მიზნით.

სწავლის უნარი - ფილოლოგიის მაგისტრს შეუძლია სწავლის დამოუკიდებლად წარმართვა, სწავლის პროცესის თავისებურებების გაცნობიერება და გააჩნია სტრატეგიულად დაგეგმვის მაღალი დონე; გაცნობიერებული აქვს უწყვეტი ფილოლოგიური განათლების მიღების და შემდეგ აკადემიურ საფეხურზე-დოქტორანტურაში სწავლის გაგრძელების აუცილებლობა.

ღირებულებები - ფილოლოგიის მაგისტრს შეუძლია ღირებულებებისადმი თავისი და სხვების დამოკიდებულების შეფასება, ახალი ღირებულებების დამკვიდრებაში წვლილის შეტანა, ქართულ-უკრაინულ და ქართულ-რუსული ლიტერატურული ურთიერთობების კუთხით ამკვიდრებს ახალ ღირებულებებს ამ ქვეყნების ენობრივ-ლიტერატურული ურთიერთობების და გამოჩენილი მწერლების და პოეტების მოღვაწეობისა და შემოქმედების განხილვის კრილში.

II. სწავლის შედეგები - მოდული "გერმანული ფილოლოგია"

ცოდნა და გაცნობიერება - ფილოლოგიის მაგისტრს აქვს გერმანული ფილოლოგიის საკითხების ღრმა და სისტემური ცოდნა, რის საფუძველზეც შეიმუშავებს ორიგინალურ იდეებს და აცნობიერებს ცალკეული პრობლემის გადაჭრის გზებს:

- მაგისტრმა საფუძვლიანად შეისწავლა ტექსტის ლინგვისტიკის ცნება, მისი წარმოშობის და ჩამოყალიბების ისტორია, ტექსტის, როგორც ენობრივი კომუნიკაციის უმაღლესი ერთეულის, ლინგვისტური სპეციფიკის და ლინგვისტური უნივერსალიები;

- ტექსტის, როგორც შინაარსობრივი კომუნიკაციური და სტრუქტურული ერთიანობის, ტექსტის სამეცნიერო კომპოზიციური ფორმები, გაეცნო ვერბალიზაციის პროცესს;
- მიიღო ღრმა ცოდნა გერმანული ენის მორფოლოგიისა და სინტაქსის კვლევის საკითხებში. დაეუფლა მორფოლოგიის ამოცანებს, სხვა ენათმეცნიერულ დისციპლინებთან მისი მიმართების საკითხს. გაეცნო მორფემის სახეებს, სიტყვათა მარაგის მეტყველების ნაწილებად დაყოფის კრიტერიუმებს, ავტოსემანტიკურ და სინსემანტიკურ მეტყველების ნაწილებს.
- მაგისტრანტს აქვს გერმანული ენის სიტყვაწარმოების ღრმა და სისტემური ცოდნა. მან შეისწავლა სიტყვაწარმოების სპეციფიკა, კანონზომიერებები, მიზანდასახულობა და მეთოდები, მიიღო ღრმა ცოდნა გერმანული ენის სიტყვაწარმოებითი სისტემის, სიტყვაწარმოებითი ელემენტების (პრეფიქსი, სუფიქსი, ინფიქსი, ინტერფიქსი, ცირკუმფიქსი, კონფიქსი, აფიქსოიდი) მნიშვნელობისა და ფუნქციების, სიტყვაწარმოებითი მორფემების დისტრიბუციული წესების, დერივაციული ბაზისის მორფემული სტრუქტურისა და ლექსიკური მნიშვნელობის შესახებ;
- მიიღო ღრმა და სისტემური ცოდნა ლინგვისტიკის ძირითად ცნებებსა და ამოცანებზე, სემიოტიკისა და ნიშნის ბუნებასთან დაკავშირებულ ლინგვისტურ კონცეფციებზე, სემიოტიკაზე, როგორც სოციალური და ზოგადი ფსიქოლოგიის შემადგენელ ნაწილზე;
- იცის თანამედროვე გერმანული რომანის ტიპური ფორმები და ნარატოლოგიის ძირითადი დებულებანი; XVIII და XIX საუკუნის გერმანული ლიტერატურის ძირითადი მიმდინარეობანი; გერმანული რომანტიკული და რეალისტური ლიტერატურის წარმოშობის სოციალურ-პოლიტიკური, ესთეტიკური და ფილოსოფიური საფუძვლები, მისი განვითარების ძირითადი ეტაპები და ტენდენციები, ასევე მე-18 და მე-19 საუკუნეების ლიტერატურის უმნიშვნელოვანესი წარმომადგენლების შემოქმედების თავისებურებები, თემატიკა და პრობლემატიკა.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი - გერმანული ფილოლოგიის დარგში მაგისტრს შეუძლია ახალ, გაუთვალისწინებელ და მულტიდისციპლინურ გარემოში მოქმედება; კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტის ახალი, ორიგინალური გზების ძიება;

- მაგისტრანტს შეუძლია სხვადასხვა წყაროებიდან ინფორმაციის მოპოვება; ბიბლიოგრაფიაზე დაფუძნებული კვლევითი სამუშაოს დაგეგმვა, განხორციელება და წარმოდგენა; ლინგვისტური ანალიზის კონცეფციებისა და მეთოდების გამოყენება;
- ჯგუფური მუშაობის პროცესში მაგისტრანტებს შეუძლიათ ნარატიული მხატვრული ტექსტის ანალიზი და ტექსტის გადათარგმნა;
- მაგისტრანტს შეუძლია ქართულ და გერმანულ ლიტერატურაში ასახულ ინტერკულტურულ ფასეულებათა გააზრება, მათ შორის არსებული ტიპოლოგიური კავშირების დადგენა და შეფასება;

- კურსდამთავრებულს შეუძლია ღრმად ჩაწვდეს სემიოტიკის საფუძვლებს სხვადასხვა წყაროებიდან ინფორმაციის მოპოვების, ანალიზისა და სინთეზის გზით, რაც დაეხმარება მაგისტრანტს სემიოტიკის კანონების გამოყენებაში, ენათმეცნიერების დაკავშირებას ადამიანურ მოვლენათა ერთობლიობაში კარგად განსაზღვრულ უბნებისადმი;
- მე-18-19 საუკუნის გერმანული მხატვრული ნაწარმოების აღქმა-გააზრება და გაანალიზება;
- გერმანულენოვანი მხატვრული ტექსტების გადმოცემა გერმანულ ენაზე.

დასკვნის უნარი - ფილოლოგიის მაგისტრს გერმანული ფილოლოგიის კუთხით შეუძლია რთული და არასრული ინფორმაციის კრიტიკული ანალიზის საფუძველზე დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბება; უახლეს მონაცემებზე დაყრდნობით ინფორმაციის ინოვაციური სინთეზი; ფლობს კულტურულ-ენობრივი და ლიტერატურული ფაქტების გამოვლენის და ანალიზის უნარებს, მნიშვნელოვანი პროცესებისა და მოვლენებისადმი ინტერდისციპლინარული მიდგომის უნარს.

კომუნიკაციის უნარი - ფილოლოგიის მაგისტრს გერმანული ფილოლოგიის კუთხით შეუძლია თავისი დასკვნების, არგუმენტაციისა და კვლევის მეთოდების კომუნიკაცია აკადემიურ საზოგადოებასთან ქართულ და გერმანულ ენაზე, იყენებს უახლესი საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მიღწევებს ფილოლოგიური ინფორმაციის მოპოვების, მოძიების და დამუშავების მიზნით.

სწავლის უნარი - ფილოლოგიის მაგისტრს შეუძლია სწავლის დამოუკიდებლად წარმართვა, სწავლის პროცესის თავისებურებების გაცნობიერება და გააჩნია სტრატეგიულად დაგეგმვის მაღალი დონე; გაცნობიერებული აქვს უწყვეტი ფილოლოგიური განათლების მიღების და შემდეგ აკადემიურ საფეხურზე-დოქტორანტურაში სწავლის გაგრძელების აუცილებლობა.

ღირებულებები - კურსდამთავრებულს შეუძლია ღირებულებებისადმი თავისი და სხვების დამოკიდებულების შეფასება, ახალი ღირებულებების დამკვიდრებაში წვლილის შეტანა, ქართულ-გერმანული ლიტერატურული ურთიერთობების კუთხით ამკვიდრებს ახალ ღირებულებებს ამ ქვეყნების ენობრივ-ლიტერატურული ურთიერთობების და გამოჩენილი მწერლების და პოეტების მოღვაწეობისა და შემოქმედების განხილვის კრილში.

III. სწავლის შედეგები - მოდული "ფრანგული ფილოლოგია"

ცოდნა და გაცნობიერება - ფილოლოგიის მაგისტრს აქვს ფრანგული ფილოლოგიის საკითხების ღრმა და სისტემური ცოდნა, რის საფუძველზეც შეიმუშავებს ორიგინალურ იდეებს და აცნობიერებს ცალკეული პრობლემის გადაჭრის გზებს:

- კურსდამთავრებულს შეეძენა წარმოდგენა ფრანგული ენის თეორიულ ფონეტიკასა და ფონოლოგიური სისტემის ძირითად ფუნქციურ თავისებურებებზე, კვლევის პრობლემებსა და მათი გადაჭრის თანამედროვე მეთოდებზე; სტუდენტი გაეცნო ბგერათა დახასიათებას წარმოთქმის ადგილისა და ხარისხის მიხედვით და აითვისა თეორიული ფონეტიკის ძირითადი და ყველაზე ხშირად სახმარი ტერმინოლოგიური აპარატი.
- მაგისტრანტმა მიიღო აუცილებელი ცოდნა ფრანგულ ლიტერატურაზე, ფრანგულ დრამაზე, მის ძირითად ტენდენციებზე; გაეცნო საფრანგეთში დრამის ჟანრის წარმოშობას, ეპოქების თავისებურებებს, წამყვანი წარმომადგენლების შემოქმედებას, მათი ლიტერატურულ ნაწარმოებებს; ეპოქების მიხედვით დახასიათებას, დრამატულ ნაწარმოებთა წარმოშობის ისტორიულ წინაპირობებს, ესთეტიკურ პრინციპებს.
- საფუძვლიანად გაეცნო კომუნიკაციური ლინგვისტიკის იმ ნაწილს, რომელიც სამეტყველო აქტივობის სუბიექტურ ასპექტს ასახავს, შეითვისა სუბიექტიურ-ემოციური დამოკიდებულების გამომხატველი ენობრივი საშუალებები და დარგობრივი, ვიწრო-სპეციალიზირებული ტერმინოლოგია, განუვითარდა პრაგმატულად გამართული სამეტყველო აქტივობა.
- მაგისტრანტს გააჩნია ფრანგული ენის გრამატიკის სამეცნიერო კვლევის უნარ-ჩვევები, გაეცნო გრამატიკის კვლევის ტრადიციულ მეთოდებს; მონათესავე და არამონათესავე ენებში კერძო-შეპირისპირებით მეთოდებს; გრამატიკის კვლევის თანამედროვე ინფორმაციულ-ტექნოლოგიურ მეთოდებს.
- მაგისტრანტმა აითვისა ფრანგული პოეზიის სათავეები, ძირითადი ტენდენციები, ლექსთწყობისა და სტილური თავისებურებები, პოეტების ბიოგრაფიები და ნაწარმოებები.
- მაგისტრანტმა იცის ფრანგულ ლიტერატურაში არსებული სკოლები და მიმდინარეობები: მათი დეფინიცია, ქრონოლოგია, წარმომადგენლები, თეორიული ფუნდამენტური შრომები, მათ შორის მსაგავსება და განსხვავება.
- გაეცნო თარგმანის ინტერკულტურულ თავისებურებებს, შეისწავლა ის ენობრივი საშუალებები, რომლებიც ენის კულტურულ სივრცეს მიეკუთვნება და გამოუმუშავდა ინტერულტურული დიალოგის პრაქტიკული უნარ-ჩვევები.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი - ფრანგული ფილოლოგიის დარგში მაგისტრს შეუძლია ახალ, გაუთვალისწინებელ და მულტიდისციპლინურ გარემოში მოქმედება; კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტის ახალი, ორიგინალური გზების ძიება:

- ფრანგული ფილოლოგიის მაგისტრს შეუძლია თეორიულ ფონეტიკასა და ფონოლოგიაში დამოუკიდებელი კვლევა;
- მაგისტრს პრაქტიკულად განუვითარდა პრაგმატულად გამართული სამეტყველო აქტივობა და დაეუფლა ენის ნორმების თანამედროვე სისტემას, და აგრეთვე, შეიძინა თანამედროვე ფრანგულ ენაზე პრაგმატულად გამართული სამეტყველო აქტივობის უნარი;
- მაგისტრს შეუძლია მხატვრული და სტილისტური ხერხების მნიშვნელობის გასაზღვრა ავტორის ჩანაფიქრის ამოცნობის მიზნით; შეუძლია XX საუკუნის ფრანგული პოეზიის ლექსთწყობის შედარება კლასიკურ ლექსთწყობასთან; XX-XXI საუკუნეების ფრანგული პოეზიის ადგილის განსაზღვრა ფრანგული ლიტერატურის ისტორიაში; ფრანგი პოეტების ბიოგრაფიების დოკუმენტური ვერსიების გაცნობა და შეფასება;
- მაგისტრს შეუძლია ლექსების შედარებითი ლიტერატურული და ლინგვისტური ანალიზი კლასიკური და თანამედროვე ფრანგული პოეზიის მაგალითზე; ლექსის თემის, იდეის, სათაურის, პროტაგონისტის ცნებების მნიშვნელობის განსაზღვრა; მხატვრული და სტილისტური ხერხების მნიშვნელობის გასაზღვრა ლექსის იდეის, ავტორის ჩანაფიქრის ამოცნობის მიზნით.

დასკვნის უნარი - ფილოლოგიის მაგისტრს ფრანგული ფილოლოგიის კუთხით შეუძლია რთული და არასრული ინფორმაციის კრიტიკული ანალიზის საფუძველზე დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბება; უახლეს მონაცემებზე დაყრდნობით ინფორმაციის ინოვაციური სინთეზი:

- ფლობს კულტურულ-ენობრივი და ლიტერატურული ფაქტების გამოვლენის და ანალიზის უნარებს, მნიშვნელოვანი პროცესებისა და მოვლენებისადმი ინტერდისციპლინარული მიდგომის უნარს;
- შეუძლია თარგმანის ძირითადი მოდელების შერჩევა; თარგმანის თეორიისა და პრაქტიკის ექსპერიმენტული კვლევის მეთოდოლოგიის შერჩევა.
- მაგისტრანტს გამოუმუშავდა ანალიზისა და სინთეზის, დისკუსიაში მონაწილეობის უნარი.
- აქვს პრეზენტაციის დროს აუდიტორიის კითხვებზე არგუმენტირებული პასუხის გაცემის, უნარი; დამოუკიდებელი წერითი ნაშრომის დაწერის უნარი; ფრანგი პოეტების შესახებ შექმნილი ფრანგული დოკუმენტური ფილმების აღქმა და გაგება.

კომუნიკაციის უნარი - ფილოლოგიის მაგისტრს ფრანგული ფილოლოგიის კუთხით შეუძლია თავისი დასკვნების, არგუმენტაციისა და კვლევის მეთოდების კომუნიკაცია აკადემიურ საზოგადოებასთან ქართულ და ფრანგულ ენაზე, იყენებს უახლესი საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მიღწევებს ფილოლოგიური ინფორმაციის მოპოვების, მოძიების და დამუშავების მიზნით.

- ლექსიკონზე მუშაობამ მაგისტრს ხელი შეუწყო შემეცნებითი აქტივობის ჩამოყალიბებაში, ასევე გააჩნია სიტუაციის კრიტიკული შეფასების უნარი, სასწავლო ჯგუფში ურთიერთობის, მსჯელობის, კონსენსუსის მიღწევის უნარი (გუნდური მუშაობის უნარს), რაც აუცილებელია მომავალში ლექსიკონზე მუშაობის პროცესში;

- მაგისტრს შეუძლია ფრანგულ ენაზე ზეპირი და წერიტი პროფესიული კომუნიკაცია ფონეტიკასა და ფონოლოგიაში, ასევე აქვს თანამედროვე საკომუნიკაციო ტექნიკური საშუალებების გამოყენების უნარი შესაბამის დარგში; შეუძლია ინტერნეტ-რესურსების გამოყენება.

სწავლის უნარი - ფილოლოგიის მაგისტრს შეუძლია სწავლის დამოუკიდებლად წარმართვა, სწავლის პროცესის თავისებურებების გაცნობიერება და გააჩნია სტრატეგიულად დაგეგმვის მაღალი დონე; გაცნობიერებული აქვს უწყვეტი ფილოლოგიური განათლების მიღების და შემდეგ აკადემიურ საფეხურზე-დოქტორანტურაში სწავლის გაგრძელების აუცილებლობა.

ღირებულებები - ფრანგული ფილოლოგიის დარგის კომპეტენციების მქონე მაგისტრს შეუძლია ღირებულებებისადმი თავისი და სხვების დამოკიდებულების შეფასება, ახალი ღირებულებების დამკვიდრებაში წვლილის შეტანა, ქართულ-ფრანგული ლიტერატურული ურთიერთობების კუთხით ამკვიდრებს ახალ ღირებულებებს ამ ქვეყნების ენობრივ-ლიტერატურული ურთიერთობებისა და გამოჩენილი მწერლების და პოეტების მოღვაწეობისა და შემოქმედების განხილვის ჭრილში.

IV. სწავლის შედეგები - მოდული "ინლგისური ფილოლოგია"

ცოდნა და გაცნობიერება - ფილოლოგიის მაგისტრს აქვს ინგლისური ფილოლოგიის საკითხების ღრმა და სისტემური ცოდნა, რის საფუძველზეც შეიმუშავებს ორიგინალურ იდეებს და აცნობიერებს ცალკეული პრობლემის გადაჭრის გზებს:

- *მაგისტრანტმა შეისწავლა ინგლისური ენის მორფოლოგიისა და სინტაქსის პრობლემური საკითხები თანამედროვე ლინგვისტიკის ჭრელში, გაეცნო ინგლისური ენის სტრუქტურას და ინგლისური ენის გრამატიკული წყობის ძირითად პრინციპებს, ინგლისური ენის გრამატიკის კვლევის ისტორიას, სადაც აქცენტი გაკეთდა ინგლისური ენის სწავლებაზე და მეოცე საუკუნის ძირითად ლინგვისტურ ტენდენციებზე აშშ-ში.*
- *მაგისტრანტმა შეისწავლა ტექსტის როგორც ლინგვოსემიოტიკური ერთეულის სტრუქტურულ-სემანტიკური, ფუნქციური, კომუნიკაციური და პრაგმატიკული მახასიათებლები; იცის ტექსტის თეორიული და პრაქტიკული ასპექტი (ტექსტის ლინგვისტური ანალიზი), ტექსტის სტრუქტურა, მისი შემადგენელი კატეგორიები, ძირითადი ტიპები, პარამეტრები, ტექსტები, მათ შორის მხატვრული ტექსტები, მათი შექმნისა და აგების გზები თანამედროვე ლინგვისტური აზროვნების ფუნდამენტურ წყაროებზე დაყრდნობით - ენობრივი ნიშნის თეორიაზე, ენობრივი სისტემის დონეებრივ მოდელზე და კომუნიკაციის თეორიაზე დაყრდნობით.*

- სტუდენტი გაეცნო თანამედროვე სემასიოლოგიის ძირითად პრობლემატიკას --- სემანტიკის საგანს, ექსტრალინგვისტურ კონტექსტს, ლექსიკურ სტრუქტურებს, ლინგვისტურ კონტექსტს, მნიშვნელობასა და წინადადებას, სემანტიკასა და გრამატიკას, უახლესი კვლევების სემანტიკურ პრობლემატიკას.
- მაგისტრანტი გაეცნო ჯონ მილტონის მოღვაწეობის წინა პერიოდს - ელისაბედის ხანას - 1558 - 1608 და ჯეიმს I სტიუარტის წლები --- 1603 - 1625, რომელიც ეპოქალური მნიშვნელობის ისტორიული მოვლენებით ხასიათდება და რომელთა გათვალისწინების გარეშე წარმოდგენელია პოეტის შემოქმედების გაგება; გააცნობიერა რელიგიისა და სახელმწიფო ინტერესების დაპირისპირება მილტონის ოჯახური ტრადიცია --- კათოლიციზმიდან პურიტანიზმამდე; გაეცნო ჯ. მილტონის შემოქმედების მეორე პერიოდს (1640-1660) --- პუბლიცისტური და საზოგადოებრივი შემოქმედებას, მხატვრული შემოქმედებიდან : “ დაკარგული სამოთხეს”; შეისწავლა “სამსონი”, მითოლოგიურ ფაბულაზე აგებული ავტობიოგრაფიული ნაწარმოები.
- მაგისტრანტმა იცის რომანის განვითარების ძირითადი ტენდენციები მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში, იგი გაეცნო ომისშემდგომი რომანის თემატურ და იდეურ მრავალფეროვნებას; გაერკვა ფორმალისტური ელემენტების გაბატონების კონკრეტულ მიზეზებში.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი - ინგლისური ფილოლოგიის დარგში მაგისტრს შეუძლია ახალ, გაუთვალისწინებელ და მულტიდისციპლინურ გარემოში მოქმედება; კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტის ახალი, ორიგინალური გზების ძიება:

- შეუძლია სხვადასხვა წყაროებიდან ინფორმაციის მოპოვება; ბიბლიოგრაფიაზე დაფუძნებული კვლევითი სამუშაოს დაგეგმვა, განხორციელება და წარმოდგენა; ლინგვისტური ანალიზის კონცეფციებისა და მეთოდების გამოყენება; ინგლისურ ენაზე მაღალ-პროფესიულ დონეზე წარმოთქმა და სხვების გაგება; ინგლისური ენისთვის დამახასიათებელი ინტონაციისა და რიტმის შესწავლა და გამოყენება; ბიბლიოგრაფიაზე დაფუძნებული კვლევითი სამუშაოს დაგეგმვა, განხორციელება და წარმოდგენა;
- ჩამოყალიბებული აქვს მეცნიერული აზროვნება და აქვს კვლევის დამოუკიდებლად განხორციელების უნარი უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით. შეუძლია სამეცნიერო წყაროებთან მუშაობა, ფაქტობრივი მასალის მოგროვება და მისი სტატისტიკური და თვისობრივი დამუშავება, შესწავლილი აქვს სამეცნიერო ნაშრომის შესრულებისა და გაფორმების მეთოდიკა;
- შეუძლია მსოფლიოში მიმდინარე ახალი ამბებისა თუ მნიშვნელოვანი სტატიების, ინფორმაციის, მოვლენის შეფასება, შერჩევა პრესაში არსებული ღირებულებათა კრიტერიუმების მიხედვით; მიღებული ცოდნა და უნარ-ჩვევების გამოყენება მულტიდისციპლინურ გარემოში.

დასკვნის უნარი

- მაგისტრანტს აქვს რთული და არასრული ინფორმაციის (მათ შორის უახლესი კვლევების) კრიტიკული ანალიზის საფუძველზე დასაბუთებული დასკვნების გაკეთების უნარი;
- უახლეს მონაცემებზე დაყრდნობით ინფორმაციის ინოვაციური სინთეზის უნარი.
- შეისწავლა სემანტიკური როლების დადგენის პრინციპები და შეიძინეს ინფორმაციის წყაროების შეფასებისა და საკუთარი შეხედულებების გამოხატვის უნარს მოცემულ პრობლემის ირგვლივ.
- მაგისტრანტს შეუძლია ინგლისური ლინგვისტური მასალის კრიტიკული ანალიზი, ზეპირი და წერილობითი პრეზენტაცია. გამოუმუშავდა კრიტიკული ანალიზის უნარი; თეორიული კომპეტენციები.
- საკომუნიკაციო კომპეტენციები, ანუ ორატორული უნარ-ჩვევების შეძენა; კულტურულ-ცივილური დიალოგის წარმართვა ოპონენტებთან

კომუნიკაციის უნარი - ფილოლოგიის მაგისტრს ინგლისური ფილოლოგიის კუთხით შეუძლია თავისი დასკვნების, არგუმენტაციისა და კვლევის მეთოდების კომუნიკაცია აკადემიურ საზოგადოებასთან ქართულ და ინგლისურ ენებზე, იყენებს უახლესი საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მიღწევებს ფილოლოგიური ინფორმაციის მოპოვების, მოძიების და დამუშავების მიზნით.

სწავლის უნარი - ფილოლოგიის მაგისტრს შეუძლია სწავლის დამოუკიდებლად წარმართვა, სწავლის პროცესის თავისებურებების გაცნობიერება და გააჩნია სტრატეგიულად დაგეგმვის მაღალი დონე; გაცნობიერებული აქვს უწყვეტი ფილოლოგიური განათლების მიღების და შემდეგ აკადემიურ საფეხურზე-დოქტორანტურაში სწავლის გაგრძელების აუცილებლობა.

ღირებულებები - კურსდამთავრებულს შეუძლია ღირებულებებისადმი თავისი და სხვების დამოკიდებულების შეფასება, ახალი ღირებულებების დამკვიდრებაში წვლილის შეტანა, შეუძლია კულტურულ-ცივილური დიალოგის წარმართვა ოპონენტებთან - კონკრეტულ თარგმანთან მიმართებაში რჩევის მიცემისა თუ სხვის მიერ დასაბუთებული არგუმენტების მიღების სახით, აფასებს თავის და სხვების დამოკიდებულებას ეთიკური ღირებულებებისადმი და წვლილი შეაქვს მასმედიის ეთიკის დასამკვიდრებლად. პრაქტიკული მოღვაწეობისას აცნობიერებს პროფესიულ, სამართლებრივ, ეთიკურ, მორალურ როლს დაწესებულებასა და საზოგადოებაში.

სამაგისტრო პროგრამის "ევროპული ენებისა და ლიტერატურის" სტრუქტურა

#	სასწავლო კურსი/მოდული	კოდი	ECTS	საკონტაქტო და დამოუკიდებელი მუშაობის საათები		კრედიტების განაწილება სემესტრების მიხედვით				პრერეკვიზიტი	ლექტორი
				საკონტაქტო	დამოუკიდებელი	I	II	III	IV		
პროგრამის საერთო სავალდებულო კურსები/მოდულები - 27 კრედიტი											
1.	უცხო ენა I (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული)	ENGL M201 GERM M201 FREN M201 RUS M201	3	35	40	3				წინაპირობის გარეშე	სსუ ასოც. პროფ. ნ. სანაია სსუ ასოც. პროფ. მ.კაჭარავა სსუ ასოც. პროფ. ნ.ახობაძე დოქტორი გ.სულხანიძე
2.	უცხო ენა II (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული)	ENGL M202 GERM M202 FREN M202 RUS M202	3	35	40		3			ENGLM201, GERMM201 FRENM201, RUSM201	სსუ ასოც. პროფ. ნ. სანაია სსუ ასოც. პროფ. მ.კაჭარავა სსუ ასოც. პროფ. ნ.ახობაძე დოქტორი გ.სულხანიძე
3.	აკადემიური წერა	ACAD M201	3	35	40	3				წინაპირობის გარეშე	სსუ ასისტ. პროფ. ნ.ქეცბაია
4.	ენათმეცნიერების ზოგადი პრობლემები	PHIL M231	6	50	100	6				წინაპირობის გარეშე	სსუ ასოც. პროფ. ბ. ლემონჯავა
5.	ფილოლოგიური კვლევის მეთოდები	PHIL M201	6	50	100	6				წინაპირობის გარეშე	სსუ ასოც. პროფ. მ.კაჭარავა
6.	კულტუროლოგია	PHIL M232	6	50	100	6				წინაპირობის გარეშე	მეცნ. დოქტორი ლ.ჯაახაია
პროგრამის ყველა მოდულის სავალდებულო სამეცნიერო კომპონენტი-30 კრედიტი											
1.	სამაგისტრო ნაშრომი	PHIL M235	30	65	685				30	I, II, III სემესტრის სასწავლო კურსები	

მოდული I – სლავური ფილოლოგია
სავალდებულო სასწავლო კურსები - 45 კრედიტი

1.	სლავური ენების შედარებითი გრამატიკა	SLAVM201	6	50	100		6		წინაპირობის გარეშე	სსუ ასოც. პროფ. მ.კაჭარავა
2.	სლავური ენა I (უკრაინული, სლოვაკური) სტუდენტის არჩევით	SLAVM202	6	50	100	6			წინაპირობის გარეშე	სსუ პროფესორი ო.პეტრიაშვილი ფილოლოგიის დოქტორი ნ.ნასყიდაშვილი
3.	სლავური ენა II (უკრაინული, სლოვაკური) სტუდენტის არჩევით	SLAVM203	6	50	100		6		SLAVM202	სსუ პროფესორი ო.პეტრიაშვილი ფილოლოგიის დოქტორი ნ.ნასყიდაშვილი
4.	თანამედროვე რუსული ენის განვითარების ტენდენციები	SLAV M204	6	50	100		6		წინაპირობის გარეშე	სსუ ასოც. პროფ. მ.კაჭარავა
5.	მხატვრული ტექსტის ლინგვისტური ანალიზი	SLAV M205	3	35	40		3		წინაპირობის გარეშე	ასსუ ასოც. პროფ. მ.კაჭარავა
8.	თანამედროვე რუსული ლიტერატურის განვითარების ტენდენციები	SLAV M206	6	50	100		6		წინაპირობის გარეშე	სსუ პროფესორი ო.პეტრიაშვილი
9.	თამედროვე უკრაინული ლიტერატურა ან თანამედროვე დასავლეთსლავური ლიტერატურა (დამოკიდებულია ენის არჩევანზე)	SLAV M207	6	50	100		6		წინაპირობის გარეშე	სსუ პროფ.ესორი ო.პეტრიაშვილი ფილოლოგიის დოქტორი ე.წერეთელი
10	გროტესკის პრობლემები თანამედროვე ლიტერატურაში	SLAV M208	6	50	100		6		წინაპირობის გარეშე	სსუ პროფესორი ო.პეტრიაშვილი
სლავური ფილოლოგიას მოდულის არჩევითი სასწავლო კურსები -18 კრედიტი							6	6/6		
1.	კულტურათაშორისი კომუნიკაციები	SLAV M209	6	50	100				წინაპირობის გარეშე	სსუ ასოც. პროფ. ი.მაგანია
2.	ქართულ-უკრაინული ლიტერატურული ურთიერთობები	SLAV M210	6	50	100				წინაპირობის გარეშე	ფილოლოგიის დოქტორი ე.წერეთელი
3.	მხატვრული თარგმანი	SLAV M211	6	50	100				წინაპირობის გარეშე	სსუ ასოც. პროფ. ლ.ჯანაშია
4.	დასავლეთევროპული და აღმოსავლეთსლავური ლიტერატურის ურთიერთობები	SLAV M212	6	50	100				წინაპირობის გარეშე	სსუ პროფ.ესორი ო.პეტრიაშვილი

5.	ქართული მოტივები XIX ს. რუსულ ლიტერატურაში	SLAV M213	6	50	100				წინაპირობის გარეშე	სსუ პროფესორი ოპეტრიაშვილი
6.	ნარატიული ანალიზის პრობლემები თხრობით ტექსტში /რუსული ლიტერატურის მასალაზე/	SLAV M214	6	50	100				წინაპირობის გარეშე	სსუ პროფესორი ოპეტრიაშვილი
7.	სოციალური ფსიქოლოგია	SLAV M215	6	50	100				წინაპირობის გარეშე	მეცნ. დოქტორი ლ.ჯახაია
8.	ლინგვოკულტუროლოგია	SLAV M216	6	50	100				წინაპირობის გარეშე	სსუ ასოც. პროფ. ი.ძაგანია
მოდული – ფრანგული ფილოლოგია სავალდებულო სასწავლო კურსები – 39 კრედიტი										
1.	თეორიული ფონეტიკა	FREN M203	6	50	100	6			წინაპირობის გარეშე	სსუ ასოც. პროფ. ქგალობერი
2.	ფრანგული დრამა	FREN M204	6	50	100			6	წინაპირობის გარეშე	ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, ნანა ლეონიძე
3.	ლინგვისტური პრაგმატიკა	FREN M205	6	50	100			6	წინაპირობის გარეშე	სსუ ასოც. პროფ. ქგალობერი
4.	ფრანგული ენის გრამატიკის კვლევის პრობლემები	FREN M206	6	50	100			6	წინაპირობის გარეშე	სსუ ასოც. პროფ. ნ.სანაია
5.	ტექსტის ლინგვისტიკა	FREN M207	3	35	40			3	წინაპირობის გარეშე	სსუ ასოც. პროფ. გიორგი ანთელავა
6.	ფრანგული პოეზია	FREN M208	6	50	100			6	წინაპირობის გარეშე	ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, ნანა ლეონიძე
7.	ფრანგული ლიტერატურული სკოლები და მიმდინარეობები	FREN M209	6	50	100			6	წინაპირობის გარეშე	ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, ნანა ლეონიძე
ფრანგული ფილოლოგიის მოდულის არჩევითი სასწავლო კურსები–24 კრედიტი								6	6/6/6	
1.	თარგმანის ინტერკულტურული ასპექტი	FREN M210	6	50	100				წინაპირობის გარეშე	ფილოლოგიის დოქტორი რუსუდან გაჩავა
2.	კომუნიკაციური ლინგვისტიკა	FREN M211	6	50	100				წინაპირობის გარეშე	სსუ ასოც. პროფ. ქგალობერი
3.	ლექსიკოგრაფიის კვლევის პრობლემები	FREN M212	6	50	100				წინაპირობის გარეშე	სსუ ასოც. პროფ. ნ.სანაია

4.	ბრეტანის ფრანგულენოვანი ლიტერატურა	FREN M213	6	50	100				წინაპირობის გარეშე	ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი ნანა ლეონიძე
5.	შედარებითი ლიტმცოდნეობა	FREN M214	6	50	100				წინაპირობის გარეშე	ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი ნანა ლეონიძე
6.	ფრანგულ-ქართული შედარებითი ტიპოლოგია	FREN M215	6	50	100				წინაპირობის გარეშე	ფილოლოგიის დოქტორი რუსუდან გაჩავა
7.	ფრანკოფონული ლიტერატურის ლინგვოკულტურული ასპექტი	FREN M216	6	50	100				წინაპირობის გარეშე	ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი ნანა ლეონიძე
მოდული-გერმანული ფილოლოგია სავალდებულო სასწავლო კურსები-42 კრედიტი										
1.	გერმანული ენის მორფოლოგიის და სინტაქსის კვლევის პრობლემები	GERM M203	6	50	100	6			წინაპირობის გარეშე	სსუ ასოც. პროფ. ი.ყრუაშვილი
2.	ტექსტის ლინგვისტიკა	GERM M204	6	50	100		6		წინაპირობის გარეშე	სსუ პროფესორი. ლ.ქობალია
3.	სემიოტიკა /გერმანული ენის მასალაზე/	GERM M205	6	50	100		6		წინაპირობის გარეშე	ფილოლოგიის დოქტორი ლ.რატიანი
4.	გერმანული რომანის ისტორიული პოეტიკა	GERM M206	6	50	100		6		GERM M203	სსუ ასოც. პროფ. ი.ყრუაშვილი
5.	გერმანულენოვანი ლირიკის პოეტიკა	GERM M207	6	50	100			6	წინაპირობის გარეშე	ფილოლოგიის დოქტორი თ.ჯღარკავა
6.	გერმანული რომანის თეორია	GERM M208	6	50	100		6		წინაპირობის გარეშე	სსუ ასოც. პროფ. თ.კილურაძე
7.	სემანტიკა /გერმანული ენის მასალაზე/	GERM M209	6	50	100			6	GERM M203	სსუ ასოც. პროფ. ი.ყრუაშვილი
გერმანული ფილოლოგიის მოდულის არჩევითი სასწავლო კურსები -21 კრედიტი							3	18		
1.	მხატვრული თარგმანი	GERM M210	3	35	40				წინაპირობის გარეშე	სსუ ასოც. პროფ. თ.კილურაძე
2.	გერმანული ენის სიტყვაწარმოება	GERM M211	6	50	100				წინაპირობის გარეშე	სსუ ასოც. პროფ. ი.ყრუაშვილი
3.	მე-18 საუკუნის გერმანული ლიტერატურის მიმდინარეობანი	GERM M212	6	50	100				წინაპირობის გარეშე	სსუ ასოც. პროფ. თ.კილურაძე

4.	მე-19 საუკუნის გერმანული ლიტერატურის მიმდინარეობანი	GERM M213	6	50	100				წინაპირობის გარეშე	ფილოლოგიის დოქტორი თ.ჯღარკავა
5.	ნარატიული ტექსტის რეცეფცია და თარგმანი	GERM M214	6	50	100				წინაპირობის გარეშე	სსუ ასოც. პროფ. თ.კიკლურაძე
6.	ლირიკული ტექსტის რეცეფცია და თარგმანი	GERM M215	6	50	100				წინაპირობის გარეშე	სსუ ასოც. პროფ. თ.კიკლურაძე
7.	ქართულ-გერმანული ლიტერატურული ურთიერთობები	GERM M216	3	35	40				წინაპირობის გარეშე	ფილოლოგიის დოქტორი თ.ჯღარკავა
მოდული – ინგლისური ფილოლოგია სავალდებულო სასწავლო კურსები – 36 კრედიტი										
1.	ინგლისური ენის მორფოლოგიის და სინტაქსის კვლევის პრობლემები	ENGL M203	6	50	100	6			წინაპირობის გარეშე	სსუ პროფესორი ე.კიკლანავა
2.	ტექსტის ლინგვისტიკა	ENGL M204	6	50	100		6		წინაპირობის გარეშე	სსუ ასისტენტ- პროფესორი მ. მარღანია
3.	ლექსიკური სემანტიკა	ENGL M205	6	50	100			6	წინაპირობის გარეშე	სსუ პროფესორი ე.კიკლანავა
4.	ჩოსერი, შექსპირი და ინგლისური რენესანსი	ENGL M206	6	50	100		6		წინაპირობის გარეშე	ფილოლოგიის დოქტორი ნ.ქომეთიანი
5.	ლინგვისტური პრაგმატიკა	ENGL M207	6	50	100			6	წინაპირობის გარეშე	სსუ ასოც. პროფესორი მ. დარასელია
6.	მეორე მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდის ბრიტანული და ამერიკული რომანი („დაკარგული თაობა“)	ENGL M208	6	50	100		6		წინაპირობის გარეშე	ფილოლოგიის დოქტორი მ.ნახუცრიშვილი
ინგლისური ფილოლოგიის მოდულის არჩევითი სასწავლო კურსები – 27 კრედიტი							9	18		
1.	ლინგვისტიკის აქტუალური პრობლემები	ENGL M209	6	50	100				წინაპირობის გარეშე	სსუ ასოც. პროფესორი მ. შელია
2.	ინგლისური ლექსიკოგრაფიის პრობლემები	ENGL M210	6	50	100				წინაპირობის გარეშე	სსუ ასისტენტ- პროფესორი მ. მარღანია
3.	სოციოლინგვისტიკა	ENGL M211	6	50	100				წინაპირობის გარეშე	სსუ ასოც. პროფესორი მ. შელია
4.	დისკურსის ანალიზი	ENGL M212	3	35	40				წინაპირობის გარეშე	სსუ ასოც. პროფესორი მ. დარასელია
5.	მეტაფორის თეორია	ENGL M213	3	35	40				წინაპირობის გარეშე	სსუ ასოც. პროფესორი

											<i>მ. დარასელია</i>
6.	<i>მხატვრული თარგმანი</i>	ENGL M214	3	35	40					წინაპირობის გარეშე	ფილოლოგიის დოქტორი <i>მ.ნახუცრიშვილი</i>
7.	<i>მეცნიერული წერა</i>	ENGL M215	6	50	100					წინაპირობის გარეშე	სსუ ასოც. პროფესორი <i>ი.დანელია</i>
8.	<i>სამრეწველო კაპიტალიზმი და ვიქტორიანული ხანის რომანი</i>	ENGL M216	6	50	100					წინაპირობის გარეშე	ფილოლოგიის დოქტორი <i>ნ.ქომეითიანი</i>
9.	<i>ინგლისურ-ამერიკული მოდერნისტული ლექსი</i>	ENGL M217	3	35	40					წინაპირობის გარეშე	სსუ ასოც. პროფესორი <i>დ.მიქელაძე</i>
10	<i>ქართულ-ინგლისური ლიტერატურული ურთიერთობები</i>	ENGL M218	3	35	40					წინაპირობის გარეშე	ფილოლოგიის დოქტორი <i>მ.ნახუცრიშვილი</i>
11	<i>მილტონი და მისი ეპოქა</i>	ENGL M219	3	35	40					წინაპირობის გარეშე	ფილოლოგიის დოქტორი <i>ნ.ქომეითიანი</i>
ს უ ლ - 120 კრედიტი						30	30	30	30		